

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულთა ეკლესიის
სულთა მატიაწე
(შექმნის ისტორია)

ისტორიული წყაროების მიხედვით, XV საუკუნიდან საქრისტიანოს წმინდა აღგილებში აშკარად შეიმჩნევა იერუსალიმელ და სინაელ ქართველ სასულიერო პირთა გააქტიურება და ქართველ მომლოცველთა მომრავლება. გახშირდა იქ არსებული ქართული ცენტრების შენარჩუნებისა და დახმარების მიზნით ქართველ მეფე-მთავართა და წარჩინებულთა მხრივ მნიშვნელოვანი შეწირულებათა ჩატანა, დაძველებული ეკლესია-მონასტრების განახლება და ახალი პატარა საქტიტორო მონასტრების მშენებლობა. ამის დამადასტურებელია ჯვარის მონასტრის აღაპებსა და სინას სულთა მატიაწეში შეტანილი ის მრავალრიცხოვანი აღაპ-მოსახსენებლები და ანდერძ-მინაწერები, რომლებიც იქაური ქართული ხელნაწერების კოლექციებს შემოუნახაეთ.

წმინდა მიწისა და სინას მთის ქრისტიანულ თემებს შორის ქართველთა პრივილეგირებულ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმ დროისათვის შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია. XIV საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVI საუკუნის დამდეგამდე პალესტინისა და სინას მთის ქართული სამონასტრო თემის სტატუსი და მდგომარეობა უშუალოდ იყო დამოკიდებული ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს კარგ ურთიერთობაზე საქართველოს სამეფო-სამთავროებთან. მამლუქთა, განსაკუთრებით კი ჩრდილო-კავკასიური ჩერქეზული წარმომავლობის (ბურჯელი) დინასტიის (1382-1516 წწ.) სულთანთა კეთილგანწყობა პალესტინისა და სინას მთის ქართული ცენტრებისა და საქართველოდან იქ ჩასული პილიგრიმების მიმართ ელინდება იმ პრივილეგიებსა და იმუნიტეტში, რომლითაც ქართველები იმდროისათვის სარგებლობდნენ.¹

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისი (კეკელიძე, ლ. მენაბდე, ზ. ალექსიძე და სხვ.) თითქოს XV საუკუნიდან ქართველები სინაზე ადარ მოღვაწეობენ ნაკლებ სარწმუნო უნდა იყოს.²

რასაკვირველია, XIV-XVI საუკუნეებში ქართველთა მოღვაწეობა სინაზე, მითუმეტეს კი ბრწყინვალე X-XI საუკუნეებთან შედარებით, ბევრად მოკრძალებული იყო. აქაც, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმდროინდელ ქართულ კერებში, ძირითადი მიზანი მემკვიდრეობით მიღებული ეკლესია-მონასტრების შენარჩუნება-განახლება და სამონასტრო მდიდარი ბიბლიოთეკების სისტემეტიზაცია-მოწესრიგება უნდა ყოფილიყო. გამოცოცხლებისა და გააქტიურების ეს ტენდენცია ზოგადი იყო იმდროისათვის როგორც

¹ გ. ჯაფარიძე, დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით. ქართული დიპლომატია. წელიწადური, I, თბილისი, 1994, გვ. 208-218.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 85; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, გვ. 50; Z. Alexidze, The New Recensions of the "Conversion of Georgia" and "Lives of the 13 Syrian Fathers" Recently Discovered on Mt. Sinai, in: *Il Caucaso: Cerniera fra culture dal Mediterraneo alla Persia (secoli IV-XI)*, Spoleto, 1996, p. 409.

ქრისტიანული აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქართულ ცენტრებში. მაგ. ათონის მთაზე, ივირონში, მიუხედავად ბერძენთაგან ქართველთა შევიწროებისა, დანარჩენი ქართული კერების მსგავსად, გეზი აღებულ იქნა დრო-ჟამისაგან დაძველებული ეკლესია-სამლოცველოების და სამეურნეო ნააგებობების აშენება-აღდგენაზე, მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკის მოწესრიგებასა და XIII-XVI საუკუნეების ისტორიის ამსახველი სამონასტრო ქრონიკის შექმნაზე.³

სინას მთაზე ქართველთა მოღვაწეობის გააქტიურების პროცესი განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიური შესწავლის პროცესში. გაირკვა, რომ XI-XIV საუკუნეებით დათარიღებულ, ხშირი ხმარებით დაზიანებულ და გაცვეთილ ხელნაწერებს ატყვია ხანგძლივი პრაქტიკული გამოყენების კვალი, რაც მიუთითებს სინას მთაზე ქართული ელემენტის აქტიურ ცხოვრებაზე როგორც მითითებულ საუკუნეებში, ისე შემდგომაც. მოგვიანებით სინაელ ქართველ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს თავს უდვია დაზიანებული ხელნაწერების რესტავრაცია-განახლება, თუმცა მათ ხელი არ უხლიათ იმდროისათვის ხმარებიდან გამოსული იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი ნუსხებისათვის. მათი ცალკეული ფურცლები, სხვაენოვან ნუსხათა ფრაგმენტებთან ერთად, მხოლოდ სარესტავრაციო მასალად იქნა გამოყენებული. ქართველთა განსაკუთრებულ ზრუნვას სინას ქართული კერისადმი ადასტურებს ამ ხელნაწერებზე დართული გვიანდელი მინაწერები, განსაკუთრებით კი XV საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი სინას მთის "სულთა მატთანე" ანუ მოსახსენებელი წიგნი.⁴

XV-XVI საუკუნეებში ქართველთა ცხოვრების თაობაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში მოგვითხრობენ როგორც უცხოელი პილიგრიმები, ასევე სინას

³ ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ბ. ფონკიჩის დაკვირვება ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის კუთვნილ რამდენიმე (სახელდობრ შვიდ) ბერძნულ ხელნაწერზე, რომლებიც იქიდან 1655 წელს არსენი სუხანოეს წამოუღია და ამჟამად რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება. როგორც გაირკვა, ყველა ამ ხელნაწერის განახლება-შეკაზმვა უკავშირდება XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ათონის წიგნსაცავის სისტემატიზაციასა და დაძველებული ხელნაწერების რესტავრაციას. ამას ადასტურებს ამ ხელნაწერების ფურცლებზე დატანილი ქართული აღნიშვნები, აგრეთვე იმ დროისათვის უკვე პრაქტიკულად გამოუყენებელი ქართული ხელნაწერებიდან სარესტავრაციოდ გამოყენებული პერგამენტის ფრაგმენტები (Б. Фонкич, Материалы для истории греческих средневековых библиотек. Библиотека Иверского монастыря на Афоне в конце XV — начале XVI века, *საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე*, 1970, №1, გვ. 193-194).

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ივირონში ჩატარებული სამუშაოები მნიშვნელოვანწილად უკავშირდებოდა საქართველოდან, განსაკუთრებით კი სამცხე-საათაბაგოდან მიღებულ დახმარებასა და თანდგომას. კ. კეკელიძის ეარაუდით, თეოდოსიოს მღვდელ-მონაზონი, რომელსაც XVI საუკუნის 10-იან წლებში გარკვეული სამუშაოები ჩატარებია ივირონის წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად, ქართველი მწიგნობარი უნდა ყოფილიყო. მასვე იმავედროულად საჭიროდ მიუჩნევია ივირონის XIII-XVI საუკუნეების ამსახველი ქრონიკის შედგენა, სადაც აღინიშნებოდა ყველა იმის დამსახურება, ეინც მონასტრისათვის იღვაწა (კ. კეკელიძე, მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში, წიგნში: კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, III, თბილისი, 1955, გვ. 69-86).

⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. III, შეადგინეს და დასაბუჯდად მოამზადეს რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამიამ, თბილისი, 1987, გვ. 4; მ. კარანაძე, ქართული წიგნის უძის ისტორია, თბილისი, 2002, გვ. 33-34.

ნახევარკუნძულზე წმ. ეკატერინეს მონასტრისაკენ მიმავალ პილიგრიმთა მთავარ გზაზე არსებული ქართველ მლოცველთა წარწერები.⁵ 1483 წელს დომინიკანელ ბერს, ფელიქს ფაბრის წმ. ეკატერინეს მონასტერში წმინდა დედის ნაწილების თაყვანისცემისას ადგილობრივი ბერებისაგან შეუტყვია, რომ წმინდანის მარჯვენა ხელის მტევანი საქართველოში ინახებოდა.⁶ 1577-1592 წლებს შორის კი სინას მთისა და მისი შემოგარენის ლექსად დაწერილ აღწერილობაში როდოსის მიტროპოლიტი პაისიოსი აღნიშნავდა წმ. ეკატერინეს მონასტერში ეოს მარცხენა მხარეს, გალავნის მახლობლად მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის არც თუ ისე დიდი ხნის წინ იბერიის მეფის საფასით აღდგენის თაობაზე.⁷

სინას ქართველთა სინოდის კოდიკოლოგიურ-ისტორიული ანალიზისა და მატიახის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მომზდებისას დადგინდა მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას.

მატიანე, რომლის სრული სახელწოდებაა „*მოსახსენებელი და მატიახე პეტროსისა წმინდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ*“, ეკუთვნოდა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ კრებულს. სინაზე შევედრებულ პირთა ხსენებები კი ყოველ შაბათს იკითხებოდა იქ მდებარე ქართველთა ეკლესიაში.

კრებულის ძირითადი ტექსტის ბოლოში, ზოგადი დღესასწაულების „გამოავლინებების“ დასასრულს, დართულია გადამწერის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა. ამის თაობაზე ვიგებთ ანდერძის კრულობითი ნაწილიდან, სადაც დამწერი რისხავს ყველა იმას, ვინც ხელნაწერს ეკლესიიდან გაიტანდა ან სინადან წაიღებდა („... ვინცა ესე წიგნი ქართველთ ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხუასა ეკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა გაუცსნელად... ისხენ საწიგნეთა ზედა, ვის უნდენ, იკმარნეს, ვის არა, მშვიდობაჲ მის თანა... და შენ ქართველო მლოცაო, ვინცა ესე წიგნი სინით წაიღო, შენიმცა ღოცეაჲ იმრუსალემისაჲ, გინა სინისაჲ მაქასმცა

⁵ M. Stone, *The Armenian Inscriptions from the Sinai. With Appendixes on the Georgian and Latin Inscriptions by M. van Esbroeck and W. Adler* (Cambridge, MA, 1982), p. 171-179, 243-249.

⁶ Felix Faber, *Evagatorium in Terrae Sanctae, Arabiae, et Egypti Peregrinationem*, Stuttgart, 1843-49; იხ. აგრეთვე, H.F.M. Prescott, *Once to Sinai: The further Pilgrimage of Frair Felix Fabbri*, London, 1957. ფაბრის ამ ცნობას გრ. ფერაძე შეცდომით უკავშირებს ზებალდტ რიტერ უმცროსს, რომელიც სინაზე 1479 წელს იმყოფებოდა (გრ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბილისი, 1995, გვ. 119, შენ. 369).

გამორიცხული არა არის, რომ სინადან ეელოგიად წაღებული ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – წმ. ეკატერინეს მარჯვენა ხელი ქართველებმა წაიღეს წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქეში თბილისში ან შესაძლოა იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტერშიც კი, რომელიც ფანასკერტელ-ციციშვილთა და თავხელიძე-მაჩაბელთა მიერ ასევე სინას წმ. ეკატერინეს მეტოქად უნდა ყოფილიყო დაარსებული (დ. კლდიაშვილი, სინას სულთა მატიახე : ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და სინაზე, კრებულში: ანამკი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002, გვ. 235-236, შენ. 28..

⁷ Паисий Агиапостолит, митр. Родосский, *Описание святой горы Синайской и ее окрестностей*, Изд. А. И. Пападопуло-Керамевсом и перев. Г.С. Дестунисом, СПб., 1891, с. 129.

ლოცვად შეგვრაცხვის, მამაო. ვინცა რას სწერდეთ გაიღეთ და მერმე ეკლესიადვე მოიღეთ" – Sin. 77, 191r-v).

წმ. ეკატერინეს მონასტრის თუ რომელი სამლოცველო იგულისხმება ქართველთა ეკლესიაში ცნობილი ხდება XII-XIV საუკუნეებით დათარიღებული ქართულ-არაბული მინაწერებიდან, რომლებიც სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების ერთ ნაწილს (Sin. 69, 74) შემოუნახავს. ამ მინაწერების თანახმად, ქართველთა ეკლესიაში წმ. ეკატერინეს მონასტერში (იუსტინიანეს) გალავანთან მდებარე წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს. Sin. 74 ხელნაწერის (საწელიწდო სახარება) არაბულ ენაზე შესრულებულ მინაწერში გერმანე ეპისკოპოსი პირდაპირ აღნიშნავს წმ. გიორგის ეკლესიის მეზობლად მდებარე სენაკების ქართველი ბერების კუთვნილების თაობაზე და მიუთითებს, რომ "... არავის არა აქვს ღეთისაგან (მონიჭებული) უფლება იცხოვროს მათში, თვინიერ ქართველი ბერებისა. როდესაც მათგან არავინ იქნება (იქ), დაკეტილი იყოს, ვიდრე არ მოვლენ (ქართველები)".⁸

ამდენად, სულთა მატთანე წმ. გიორგი მთავარმოწამის სახელობის ქართველთა იმ ეკლესიის საკუთრება უნდა ყოფილიყო, რომელიც XII საუკუნის დამდეგს დავით IV (1089-1125) აღმაშენებლის მიერ იქნა აგებული. დავითის მიერ წმ. ეკატერინეს მონასტერში ეკლესიის აგებისა და იქ საეკლესიო წიგნების გაგზავნის შესახებ მისი ისტორიკოსი საგანგებოდ მოგვითხრობს.⁹ ცნობას იმეორებს ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანიც.¹⁰ დავითის მიერ ახლად აგებული ეკლესიისათვის წიგნების გაგზავნის ფაქტს ასევე ადასტურებს ორ სინურ ხელნაწერზე (Sin. 10 და 70) დართული ანდერძ-მინაწერი. ერთ-ერთ მათგანს, საწელიწდო სამოციქულოს (Sin. 10) შემოუნახავს თავად დავით IV-ის ავტოგრაფული ჩანაწერი, რომელიც მის მიერ სინას მთაზე ხელნაწერის გაგზავნის შესახებ მოგვითხრობს.¹¹ ასევე კარგადაა ცნობილი წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ფერწერული ხატი, რომელზეც წმ. გიორგის, როგორც უფლისადმი მეოხის გეერდით წარმოდგენილია ახალგაზრდა ბაგრატიონი მეფე. საიმპერატორო ბისონითა და ღორონით მოსილ მეფეს (რომელიც ბერძნულ და ქართულ ენებზე შესრულებული განმარტებითი წარწერების მიხედვით დავით IV აღმაშენებელია) ხელში ძალაუფლების ინსიგნიები – ლაბარუმი და ქრისობულა უჭირავს (პ. უსპენსკის აზრით, ეს ის ქრისობულა უნდა იყოს, რომელიც ქართველ მეფეს სინაზე ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით უნდა

⁸ Sin. 74, 194r; მინაწერი ამოიკითხა და თარგმანი ეკუთვნის რ. გვარამიას – იხ. რ. გვარამია, ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები. მრავალთაეი, IX, თბილისი, 1981, გვ. 81-82.

⁹ დავითის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი, ოქსინონი, და წიგნები, საეკლესიო სრულებით და სამსახურებელი სიწმინდეთა ოქროსა რჩეულისა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 352-353).

¹⁰ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკელევეითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1953, გვ. 253.

¹¹ სინური კოლექციის ხელნაწერში გამოვლენილი დავით IV აღმაშენებლის ავტოგრაფის შესახებ იხ. დ. კლდიაშვილი, სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით, *მრავალთაეი*, XV, 1989, გვ. 127-128; D. Kldiashvili, L'icône de Saint Georges du Mont Sinai avec le portrait de David Agmashenebeli, *Revue des études géorgiennes et caucasiennes*, N5 (1989), 118-120.

გაეგზავნა)¹². ხატი 1104 წლის ახლო ხანებში, დავითის მიერ წმ. გიორგის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით ჩანს შესრულებული. დავით IV-ის, როგორც მაშენებლის გამორჩეულობაზე ასევე მიუთითებს XIX საუკუნეში სინას მთაზე გაერცვლებული ტრადიცია, რომელიც მის სახელთან აიგივებდა ქართველებთან დაკავშირებულ რამდენიმე ეკლესიას ქორების მთასა და ლეჯის ველზე.¹³ ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ სინური კოლექციის ერთ-ერთმა ხელნაწერმა, XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულმა საბაწმინდურმა ტიპიკონმა (Sin. 83) შემოგვინახა ერთ-ერთი ადრეული ჩანაწერი დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (24 იანვრის განგების გასწვრივ კიდევ, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით მიწერილია: "თ(უე)სა იანვარსა კდ (24) მიიცვალა კეთილად მოკსენებული დავით, მეფე ქართველთაჲ" – 42v).¹⁴

დავითის, როგორც ქტიტორის ღვაწლმა სინას მთის ქართული კრებულის წინაშე, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა ასახვა წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატიაზეში პოვა. მისი ხსენება შეტანილია მატიანის დასაწყისში, საქტიტორო რიგში, მეფეების, მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შემდგომ. მატიანის დამწერი დავითს "აღმაშენებლად" (ამ შემთხვევაში "მაშენებლად") იხსენიებს,¹⁵ თავად მოსახსენებელს კი მატიანის ტექსტის წერილი ნუსხურისაგან საგანგებოდ გამორჩეული მსხვილი გრაფემებით წერს.

ბოლო მონაცემებით, სინას მთაზე ქართველები VI საუკუნიდან (შესაძლოა უფრო ადრეული ხანიდანაც) ჩანან. IX საუკუნიდან სინაზე კულტურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებენ პალესტინის სავანეებიდან ჩასული ქართველი მწიგნობრები, რომელთაც თან ჩააქეთ იქაური ქართული ბიბლიოთეკები. ეპიგრაფიკული ძეგლები და სინური ქართული კოლექციის ხელნაწერების კოლოფონები ადრეულ ხანაში სინას მთაზე ქართველთა მკვიდრობის რამდენიმე ასეთ ადგილს ადასტურებს, ესენია: მთასა წმიდასა სინასა საყოფელი წმიდისა მოსესი/მოსეს ეკლესია (IX-X სს.), ქორების მთაზე წმ. ილიას ეკლესიის მახლობლად მდებარე ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია (XII-XIII სს.), სინას წმ. იოვანე (ღვთისმეტყველის) ქართველთა ეკლესია (X ს.), ნეტარი კვირიკეს სამოღვაწეო ქვაბი და სხე.

XII საუკუნიდან მოკიდებული სინას მთის ქართული სათვისტომო ძირითადად დავით აღმაშენებლის მიერ წმ. ეკატერინეს მონასტერში აგებულ წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიასა და მის მიმდებარე სენაკებში მკვიდრდება.¹⁶

¹² П. Успенский, Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, СПб., 1856, с. 167.

¹³ П. Успенский, დასახ. ნაშრომი, გვ. 188-196; А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, т. IV, вып. 1 (1888), с. 131-132; დ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

¹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, III, გვ. 180.

¹⁵ "აღმაშენებელი" ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს "მაშენებელს". სწორედ ასევე იწოდება ჯვარის მონასტრის მაშენებელი და მისი პირველი წინამძღვარი პროხორე სინას სულთა მატიანის მოსახსენებელში ("პროხორე ჯვარისა აღმაშენებელისა საუკუნო იყავნ ცხენება მისი – Sin. 77, 197r). "აღმაშენებელი" დავითის მიმართ მოსახსენებელში ასევე "მაშენებლის" მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს.

¹⁶ 1883 წელს, წმ. ეკატერინეს მონასტერში ა. ცაგარელის სტუმრობისას, ქართველთა კუთვნილი წმ. იოვანე ღვთისმეტყველისა და წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიები მოქმედი აღარ ყოფილა. მკვლევარის გადმოცემით, ამ ორი სამლოცველოთაგან ერთ-ერთში 1830-იან წლებში არაბის ბერი მოუკლავს, რის შემდეგაც მასში ღვთისმსახურება შემწყდარა. მეორე სამლოცველო კი სიძველის გამო დანგრეულა (А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 217 და შემდ.).

რამდენადმე უფრო მოგვიანოდ, XIV-XV საუკუნეებში აქ უნდა მოეყარა თავი სინას მთის სხვადასხვა სავანეებში ქართველ ბერ-მონაზონთა კუთვნილ უძველეს ხელნაწერებს. დღეისათვის, მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაკლისისა, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართულ ხელნაწერთა კოლექცია ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი საზღვარგარეთის ქართულ კოლექციებს შორის. წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესიის კრებულის წიაღშივე შეიქმნა სინაზე შევედრებულ ქართველთა მოსახსენებელი წიგნი ანუ სულთა მატიანე.

მატიანე საგალობელთა კრებულის დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ბოლოში ერთვის სინური ქართული კოლექციის ქაღალდზე ნაწერ ხელნაწერ კრებულს – Sin. 77 (უკანა გვერდები 192r-205v; ფურცლის საშუალო ზომაა 16,5x13). ხელნაწერი ტყავგადაკრულ ხის ედაში ყოფილა ჩასმული. აღ. ცაგარელის გადმოცემით, კრებულის ძირითადი ტექსტი ხშირი ხმარებისაგან საკმაოდ გაცვეთილ, კიდევბაქონილ ბომბიციჩის ქაღალდზე ყოფილა შესრულებული, მასზე დართული თოთხმეტგვერდიან რეეულში ნაწერი სულთა მატიანე კი შედარებით ახალ თეთრ ქაღალდზე.¹⁷ სინას ქართული კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობებში ხელნაწერის ძირითადი ნაწილი XIII-XIV საუკუნეებით არის დათარიღებული.

არსებობს სინას მთის სულთა მატიანის ტექსტის ორი გამოცემა: აღ. ცაგარელისეული – ნაწილობრივი¹⁸ და ივ. ჯავახიშვილისეული – სრული.¹⁹ მატიანის დასასრულს (209v) შემორჩენილია აღ. ცაგარელის 1883 წლის 16 თებერვლით დათარიღებული მინაწერი: „ესე წიგნი განიხილა, რუსეთიდან მოსულმა, 16 ფებრ. 1883 წ. სინას მთას“. მოგვიანებით, სინაზე 1902 წლის ექსპედიციის დროს ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლობა მიეცა გადმოეწერა მატიანის სრული ტექსტი, მაგრამ მისი გამოცემა და შესწავლა არ დასცალდა. ეს გადმონაწერი 1947 წელს დამატების სახით დაერთო უკვე ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდგომ მომზადებულ "სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას". ამ გამოცემაში, მართალია, მატიანის ძირითადი ტექსტი და შემდეგდროინდელ შემავსებელთა ჩამატებები გამოყოფილია განსხვავებული შრიფტით, მაგრამ არაფერია ნათქვამი თავად ძეგლის, მით უმეტეს შემავსებელთა მიერ შემდგომ ჩამატებული მოსახსენებლებელთა ფენების დათარიღების თაობაზე.

რაც შეეხება მატიანის დათარიღებას, ამის თაობაზე საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს. თავის დროზე აღ. ცაგარელმა ხელნაწერი კრებული XIII-XIV საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო მასზე დართული მატიანე ზოგადად XIV-XVI საუკუნეებში მიიჩნია შედგენილად.²⁰ იგივე და-

ნიშანდობლივია, რომ წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს გაჩენილი ხანძრის შემდგომ, სარესტავრაციო-გაწმენდითი სამუშაოებისას სწორედ ესოთხრედილი ნაწილი (იუსტინიანესეულ კედელთან), დანგრეული წმ. გიორგის სამლოცველოს ადგილზე, შემთხვევით მიაგნეს გაუქმებულ ქვედა სათაესს, სადაც ბერძნულ, სირიულ, არაბულ, და სლავურ ხელნაწერთან ერთად აღმოჩნდა ძველ ქართული ხელნაწერების უძველესი დიდი კოლექცია (შდრ. K. Manafis ed., *Sinai. Treasures of the Monastery of Saint Catherine* (Athens, 1990), p. 359, 394-395; O. Baddeley & E. Brunner eds., *The Monastery of Saint Catherine* (London, 1991), p. 85-89; Z. Alexidze, *The New Recensions of the "Conversion of Georgia"*, გვ. 409-421).

¹⁷ A. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 241-251; იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-700 (სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობის ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფი).

²⁰ A. Цагарели, Памятники грузинской старины, გვ. 218.

თარიღება მოგვცა ე. ბენეშევიჩმა სინას სიძველეების არქეოლოგიურ და პალეოგრაფიულ კატალოგში.²¹ მატიანის ტექსტის გამომცემელს, ივ. ჯავახიშვილს მატიანის დათარიღების თაობაზე აზრის გამოთქმის საშუალება არ მიეცა. ელ. მეტრეველი, ჩვენს ხელთ არსებულ სულთა მატიანეებიდან სინას სულთა მატიანეს ერთ-ერთ უძველესად მიიჩნევს. მისი დასკვნით, "... ყველაზე ძველია და ამიტომ ფორმის თვალსაზრისით ყველაზე უფრო გამოკეთილი "სინას მონასტრის სულთა მატიანე" და "ნიკორწმინდის სულთა მატიანე"... ჯვრის მონასტრის სულთა მატიანე კი უფრო გვიანდელია და ამიტომ არ მისდევს ზუსტად "სინის სულთა მატიანის" გეგმას".²² სინას მატიანეს ასევე უძველესად მიიჩნევდა ლ. მენაბდე.²³ სინას ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში კი ხელნაწერი (Sin. 77), რომლის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ნაწილსაც წარმოადგენს სინას სულთა მატიანე, დათარიღებულია XIII-XIV საუკუნეებით. მოგვიანებით, ეს დათარიღება გაურცელდა მატიანის ძირითად ტექსტზედაც.²⁴ ამგვარადეა დათარიღებული სინური ძველი კოლექციის "აღწერილობაში" ის ხელნაწერები, რომლებიც მატიანის შემდგენელის, ელია - ყოფილი ელისე ნიდანისძის მიერ არის გადანუსხული.²⁵

მატიანის ტექსტის უძველესი და ძირითადი ნაწილი XIV-XV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წერილი მწიგნობრული ნუსხა-ხუცური დამწერლობით არის შესრულებული. შესავლის, მატიანის სათაურის, დაბოლოების, თითოეული ნაკვეთისა თუ ცალკეული მოსახსენებლის დასაწყისი ასო სინგურით არის ჩაწერილი. ამ თვალსაზრისით მატიანის ძირითადი ტექსტის გამოყოფა შემდგომდროინდელ შემავსებელთა სხვადასხვა ხელით ჩაწერილი მოსახსენებელთა ფენებისაგან არც თუ ისე რთულია.

სულთა მატიანის სათაურისა და შესავალი ნაწილის თანახმად, ყოველ შაბათს წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიაში აღევლინებოდა ღოცვა ქართველთა მეფის „სიმტკიცის, ძლევისა, დამყარებისა, და ცხოვრებისა, მშველობისა, სიმრთელისა, და ცხოვრებისათვის“, აგრეთვე იქ შევედრებულათათვის, კრებულის წევრთათვის და წინაპართათვის. მატიანის შესავალი ნაწილი დაწერილი ჩანს მიცვალებულთა და ცოცხალთა იმ მოსახსენებლების ანუ დიპტიქების გათვალისწინებითა და გავლენით, რომლებიც ჟამისწირვის აუცილებელსა და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.²⁶ სინაზე მკვიდრი ქართველი ბერ-მონაზვნებისათვის ჟამისწირვის მსახურებისას ქართველი მეფისა და სახელმწიფოს საგანგებო ღოცვაში მოხსენიება, რომ ტრადიციული ხასიათისა

²¹ Памятники Синая, археологические и палеографические, вып. I, под. ред. В.Н. Бенешевича, Ленинград, 1925, с. LV.

²² ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 10-11, 33-37. მკვლევარმა სინას სულთა მატიანე განიხილა მოსახსენებელთა ტიპებთან დაკავშირებით. მანვე, იერუსალიმის ჯვარის მამათა ქრონოლოგიის დადგენის მიზნით, შეისწავლა მატიანეში შემონახული ჯვარის მონასტრის წინამძღვრების ადრეული ხანის მოსახსენებლები (იქვე).

²³ ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-69.

²⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, III, გვ. 150.

²⁵ მ. კარანაძე, რომელმაც სინური კოლექციის ქართული ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ნაწილი ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის ისტორიასთან დაკავშირებით შეისწავლა, ელია ნიდანისძეს XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევს (იხ. მ. კარანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33).

²⁶ ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992, გვ. 111-112, 134, 274-276, 291-294.

უნდა ყოფილიყო, ჩანს იმ კათოლიკე კეერექსით, რომელიც ჩართულია სინური კოლექციის X საუკუნის ერთ-ერთ ლიტურგიკულ კრებულში (Sin. 54). ესაა სავედრებელი „ქართლისა მშვედობისა, საზღვართა განგებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყუეთა მიქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტიანობის დამტკიცებისათვის“²⁷ მას თავისი მუხტითა და აქტუალობით დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

სინას სულთა მატთანე ფორმის თვალსაზრისით გარკვეული გეგმის მიხედვითაა შედგენილი, რაც მას გამოკვეთილი "ისტორიული და ლიტერატურული ძეგლის" ხასიათს ანიჭებს.²⁸ მატთანეში, შესაეალის (193r), სათაურის (194r) და დაბოლოების (204r) გარდა, შესულია ცალკეული ნაკვეთები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სათაურით – "მოკსენებისა და განსუშნებისათვის". თითოეულ ნაკვეთში მატთანის შემდგენი დამსახურების, ქრონოლოგიური და წოდებრივი პრინციპების მეტნაკლები დაცვითა და სიზუსტით ცდილობს შეიტანოს მაშენებელთა, მეფეთა და დედოფალთა, მთავართა, მთავარეპიკოპოსთა, ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა, იერუსალიმის ჯვარის მამათა და სინაზე შევედრებულ სასულიერო თუ საერო პირთა მოსახსენებლები.

თავდაპირველად მატთანის თავსა და ბოლოში, ისევე როგორც ნაკვეთებსა და ნაკვეთში შეტანილ მოსახსენებლებს შორის, დატოვებული ყოფილა თავისუფალი გვერდები (192r-v, 195r-v) და ადგილები, რათა დროთა განმავლობაში ახალი მოსახსენებლების ჩაწერის საშუალება ყოფილიყო. მატთანის შედგენის ახლო ხანებიდანვე შემაესებელთა მიერ დაწყებული ტექსტში დატოვებული თავისუფალი ადგილების ნუსხურითა და მხედრულით შესრულებული მოსახსენებლებით შეესება. ჩანამატი მოსახსენებლების ჩაწერა მატთანეში ხშირ შემთხვევაში უსისტემოდ, განკუთვნილი ნაკვეთების გაუთვალისწინებლად ხდებოდა. პალეოგრაფიული დაკვირვების შემდგომ, მატთანის ძირითადი ტექსტიდან გამოიყო სხვადასხვა დროს ნუსხურითა და მხედრულით შესრულებული მოსახსენებელთა ექვსი ფენა. მათგან ყველაზე გვიანია და მატთანის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას განსაზღვრავს XVI საუკუნის ჩახვეული მხედრულით, დამახასიეთებელი ა-მეტობით, ხანცთელი მღვდელმონაზონის, მარკოზ მარაკისძის მიერ შესრულებული მრავალრიცხოვანი მოსახსენებლები, რომლებიც XVI საუკუნის შუახანებით თარიღდება.²⁹

სინას სულთა მატთანის თავდაპირველი ტექსტი, ადრეული ხანის მეფეთა, დედოფალთა (IV–XII სს.) და ჯვარის მამათა (XI საუკუნის 60-იანი წლებიდან XIII საუკუნის ჩათვლით) მოსახსენებლების გარდა, ძირითადად შეიცავს XIII–XV საუკუნეების პირველი ნახევრის ისტორიულ პირთა მოსახსენებლებს; ამ ჯგუფში მოხსენიებული სასულიერო და საერო პირები ასევე გვხვდებიან ჯვარის მონასტრის აღაპებსა და იერუსალიმურ ხელნაწერთა ანდერძ-მოსახსენებლებში. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მამების იოსებისა (XIV საუკუნის დამდეგი – XV საუკუნის დასაწყისი) და პიმენ მაწყვერელის (XV საუკუნის პირველი მეოთხედი), აგრეთვე აღბუდა I (XIV საუკუნის 60-80-იანი წწ.) და ივანე (1391-1444) სამცხის ათაბაგებისა და მეფეთა ზოგიერთი მოსახსენებლის გათვალისწინებით, მატთანე XV საუკუნის პირველ ათწლეულში უნდა მივიჩნიოთ

²⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, III, გვ. 59.

²⁸ ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10-11.

²⁹ დ. კლდიაშვილი, სინას სულთა მატთანე (მარკოზი – ხანცთის სამრეკლოს მაშენებელი და სინას სულთა მატთანის ბოლო შემაესებელი), *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1999, №3, გვ. 47-77.

შედგენილად.³⁰ რაც შეეხება შემდეგდროინდელ შემავსებელთა მიერ სხვადასხვა ხელით ჩაწერილ მოსახსენებლებს, მათი შეტანა მატიანეში, როგორც გაირკვა, XV საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული XVI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით ხდებოდა (მათი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, ყვარყვარე III ათაბაგისა (1516-1535) და მისი ძეების – მზეჭაბუკისა (†1535) და ქაიხოსროს (1545-1573) მიხედვით, XVI საუკუნის მეორე მეოთხედის მიწურულით განისაზღვრება).

მიუხედავად იმისა, რომ მატიანე შედგენილია XV საუკუნის დასაწყისში, მას ქრონოლოგიური განზიდულობა და მასალების სიმდიდრე ახასიათებს. მასში ფართოდ არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის საერო თუ სასულიერო წრეების ადამიანები მოყოლებული IV საუკუნიდან XVI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. თავისი შინაარსით, გარეგნული ფორმითა და შექმნის დროის თვალსაზრისით კი იგი ყველაზე ახლოს დგას გერგეტის სამეპის მატიანესთან, რომელიც დამოუკიდებელი ხელნაწერი წიგნის სახით არის გაფორმებული.³¹ სინას სულთა მატიანეში, რომელიც XV საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება, ძველი პალესტინური მოსახსენებელი და სააღაპე წიგნებიდან და მოსახსენიებელ პირთა სიებიდან (რომელიც ყველა დიდ მონასტერს ჰქონდა) უნდა იყოს შეტანილი მაშენებელთა და მეფე-დედოფალთა მოსახსენებელთა ძველი ფენა, ქართლის და აფხაზეთის კათალიკოსთა, ჯვარის მონასტრის მამების რიგი და ზოგიერთი კერძო მოსახსენებელი.

სინას სულთა მატიანის ძირითად ტექსტში ცალკე ნაკვეთადაა შესული ჩიდანისძეთა სახლისათვის განკუთვნილი ვრცელი მოსახსენებელი, საიდანაც ირკვევა, რომ მატიანე ელია ყოფილი ელისე ჩიდანისძეს შეუდგენია. მოსახსენებელი გვაცნობს მოძღუარ დიონისე ჩიდანისძეს, მის მეუღლე – ყოფილს მართას და ძეებს იოვანესა და "მატიანის ჴელითა მწერელს" ელია – ყოფილ ელისეს. იგი შემდეგნაირად იკითხება:

„მოკსენებისათ(ვ)ს და გ(ა)ნსუშნებისათ(ვ)ს. ს(უ)ლსა მოძლ(უ)არსა ჩიდანისძესა დიონისიოს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ. მეუღლე ყოფილსა მისსა მართას შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ. და ძეთა მ(ა)თთა იოვანეს ჩიდანისძესა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ. და ამა მატიანისა ჴ(ე)ლითა მწერ-

³⁰ მატიანის შედგენის დროის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძირითად მოსახსენებლებს შორის ჯვარის მამა იოსებისათვის და მაწყვერელი პიმენისათვის (სავარაუდოდ დიასამიძის, შემდგომში ჯვარის მამის) შეტანილ მოსახსენებლებს. საქმე ისაა, რომ პიმენ მაწყვერელისა და მისი ძმებისათვის მოსახსენებლები ჩაწერილია როგორც სულთა მატიანის ძირითად ტექსტში, ასევე მატიანის შედგენისთანავე, მის ახლო ხანებში, ძირითადი ხელისაგან განსხვავებული უშნო ნუსხურით (196v). უდავოდ გასათვალისწინებელი ჩანს ის გარემოებაც, რომ მოსახსენებლებში პიმენი მხოლოდ მაწყვერელად იწოდება და ამდენად, მისთვის სინაზე დადებული მოსახსენებლები მისი იერუსალიმში ჩასვლის ახლო ხანებით, იოსების ჯვარის მამობის (XIV ს-ის მიწურული-XV ს-ის დასაწყისი) დროით თარიღდება. რამდენადაც პიმენი იერუსალიმში ჩასულა 1400 წლის ახლო ხანებში ("მას ჟამსა, ოდეს თემურ დიმიშხი (დამასკო – დ.კ.) ააოჭრა") და ჯვარის მამა განხდარა იოსების შემდგომ (ე.მეტრეველი, მასალები..., გვ. 33-35), ბუნებრივია, მისი ჯვარის მამობა მხოლოდ XV საუკუნის დასაწყისიდან, მისი პირველი ათწლეულიდან შეიძლება ეივარაუდოთ. ამავე ხანებით უნდა დათარიღდეს სინას სულთა მატიანის ძირითადი ტექსტიც. ამ დათარიღებას მხარს უჭერს მატიანის ძირითად მოსახსენებლებში შესული მეფეთა და ათაბაგთა ხსენებების ნაწილის ქრონოლოგიაც.

³¹ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბილისი, 1954, გვ. 217-257 (გამოკლევა), 263-288 (ტექსტი).

ელსა ჩიდანისძეს ელია – ყოფილსა ელისეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ” (197v).

მომღეენო ნაკეთში, სადაც ჯერის მონასტრის მამათა მოსახსენებლებია შესული, ელისე ჩიდანისძეს შეუტანია, ხოლო შემდგომ გადაუშლია ჩიდანთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენლის, იორდანე ჩიდანის მოსახსენებელი:

“ს(უ)ლსა იორდანეს ჩიდანისა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ” (197v).

“მატიანის ხელით მწერელში” რომ მატიანის შემდგენელი იგულისხმება და არა მასში კონკრეტული მოსახსენებლის შემტანი ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ამა თუ იმ მოსახსენებლის დამდები მატიანეში ჩვეულებრივ “დამწერელად” იწოდება.³²

რა შეიძლება ითქვას ელია – ყოფილი ელისე ჩიდანისძის შესახებ. ელისე ადგილობრივი ძმობის წევრი ჩანს. იგი იხსენიება სინური კოლექციის სხვა ხელნაწერების მინაწერებშიც (Sin. 6, 76, 96; N/Sin. 6 და 7). ჩიდანისძეთა საოჯახო მოსახსენებლიდან ეიგებთ, რომ იგი სასულიერო წრიდან ყოფილა. მოძღვრად იწოდება მისი მამა დიონოსიოს ჩიდანისძე, ხოლო დედა – მართა მონაზვნად ჩანს შემდგარი. რაც შეეხება ჩიდანისძეთა წარმომადგენლობას წერილობით წყაროებში ცნობები ამ საგვარეულოს შესახებ არ ჩანს. საეარაუდოდ ისინი დასავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყვნენ. ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს Sin. 6 ხელნაწერის სარესტავრაციოდ თუ განგებ(?) ჩაწებებული ქაღალდის ფრაგმენტი, რომელშიც იხსენიება შემომწირველი ვინმე ფოთელი ჩიდანის.³³ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმავე Sin. 6 ხელნაწერში, სადაც გამოყენებული იყო ქაღალდის ფრაგმენტი ჩიდანის ხსენებით, გეხედება ელისეს მინაწერებიც:

წ(მინდანო) მ(ა)მ(ა)ნო და სამგზის ს(ა)ნ(ა)ტ(ე)ლნო ქ(ალ)წ(უ)ლნო, რ(ომე)ლთა კ(ე)თილად იღ(უა)წენით და აწ ც(ა)თა შ(ინ)ა გერგვნითა შემგულნი წ(ინაშე) ღ(მერთ)ისა მდგ(ო)მ(ა)რე ხ(ა)რთ, მეოხ და მფარველ ჩ(უე)ნდაცა იქმნენით, ფ(რია)ღ ც(ო)დგილისა და სახელისდებისაგ(ა)ნ უღირსისა ჩიდანის ძესა ელია – ყოფილსა ელისეს.

იქვე, მხედრულით:

წმ(ი)დაო ეკატერინე, შეიწყალე ცოდვილი ელისე.³⁴

გამორიცხული არ არის, რომ ხელნაწერი რესტავრირებულ იქნა თავად ელისეს მიერ, ხოლო მის ერთ-ერთ ფურცელზე სარესტავრაციოდ გამოყენებულ თუ საგანგებოდ ჩაწებულ ქაღალდზე იხსენიებოდა სინაზე შემომწირველი ერთ-ერთი მისი სახლის წევრი. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ელისე ჩიდანისძე წარმომადგენლობით დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი ფოთიდან ყოფილიყო.

სინური ქართული ხელნაწერების ძველი კოლექციის გარკვეული ნაწილის აშიებზე მოთავსებული ანდერძ-მინაწერები შესაძლებლობას იძლევა რამდენადმე აღდგეს ელისესა და მისი თანამოღვაწე ქართველ მწიგნობართა პატ-

³² მაგ.: „...მ(ა)თსა დამწერელსა, შე(ი)ლსა მ(ა)თსა სუმონს-საბას შ(ეუნდნე)ს ღ(მერთმა)ნ“ (199v), „...მ(ა)თსა შეილსა, ამა(ა)თსა დამწერელსა თე(ედორო)ს შ(ეუნდნე)ს ღ(მერთმა)ნ“ (197v).

³³ ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით, Sin.6 ხელნაწერის 197r-ზე ქაღალდის ნაგლეჯზე გაირჩეოდა მთავრული ასოებით შესრულებული შემდეგი ჩანაწერი: „[...]*მერა, მთაე(ა)რო ქრისტესო გ(იორგ)ი, შემწირველი მონანი თქ(უე)ნნი ფოთელი ჩიდა[ნ] ...მიხაელ მე, ყოველთა [...]*“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20).

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20 (№6, 223v).

